ს ს ი ვ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

30. 11. 09 N 147

/ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტთათვის პრეზიდენტის სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ/

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის გრანტებისა და სტიპენდიების მინიჭების პროგრამის" ქვეპროგრამის – „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს" დამტკიცების შესახებ 2009 წლის 24 მარტის N163 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2009 წლის 26 ნოემბრის N1048 ბრძანების საფუძველზე და სტუ–ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 26 ნოემბრის N80 ოქმის (დადგენილება N176) შესაბამისად სტუ–ს ბაკალავრიატის სტუდენტთათვის აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვბრძანებ:

1. სტუ–ს 2009 წლის 6 ოქტომბრის N812/05 ბრძანებით გათვალისწინებული 25 ლარიანი სტიპენდიის ნაცვლად ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს დაენიშნოთ პრეზიდენტის 150 ლარიანი სტიპენდია 2009 წლის პირველი სექტემბრიდან პირველ იანვრამდე 4 კალენდარული თვის განმავლობაში, ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
2. პრეზიდენტის სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ, წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების (ECTS) II, III და IV წლის სტუდენტებს, რომლებსაც 2008-2009 სასწავლო წლის ზაფხულის სესიების შედეგების მიხედვით (რექტორის N4 14.01.2009წ. ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში, 2009 წლის 15 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით) აქვთ მაღალი რეიტინგი, მაგრამ არანაკლებ 91%–ისა, შეიძლება დაენიშნოთ პრეზიდენტის სტიპენდია;
4. პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევისას ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი რეიტინგის შემთხვევაში, გათვალიწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

5. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ამ ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცემა საკმარისი რეიტინგის მქონე სხვა ფაკულტეტის სტუდენტს;
6. ამ ბრძანებით განსაზღვრული სტიპენდიანტთა ოდენობის განსაზღვრა მოხდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდეტთა კონტიგენტის პროცენტული წილის შესაბამისად, სტუ–ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობებიდან (2009 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით):

საძძეხებლო ფაკულტეტი – 10 სტუდეხტი;
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 20 სტუდენტი;
სამთო–გეოლოგიური ფაკულტეტი – 8 სტუდენტი;
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 11 სტუდენტი;
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი – 4 სტუდენტის;
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი – 18 სტუდენტი;
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 39 სტუდენტი;
ჰუმანიტარულ–სოციალური ფაკულტეტი – 60 სტუდენტი;

7. სტიპენდიატთა შერჩევის შედეგები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ–ს ოფიციალურ ვებ–გვერდზე;
8. ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდება და გამოიცემა რექტორის ბრძანება პრეზიდენტის სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;
9. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ–ს ოფიციალურ ვებ გვერდზე;
10. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს.

რექტორი,
პროფესორი

ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე,
პროფესორი *ლ.კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის უფროსი,
პროფესორი *ი.ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი *გ. მაისურაძე*